გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება მეორე მხარეს ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7. ხელშკრულების პირობების გადასინჯვა

7.1. თუ რაიმე წინასწარე გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია 5 დღით ადრე.

7.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. სადაო საკითხების გადაწყვეტა

8.1. მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკების პროცესში მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

8.2. თუკი ასეთი მოლაპარაკების გზით მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დავის გადაწყვეტის მიზნით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

9. ხელშკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

10.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაღვრება 2015 წლის 06 აპრილიდან - 2015 წლის 31 მაისამდე.

11. სხვადასხვა

11.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლიარად (2 გვერდზე) და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

„შემსყიდველი“:
სსიპ „ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო დრამატული თეატრი“-ს დირექტორი: /ნ. წერეთელი/
ქ. ჭიათურა. ჭავჭავაძის ქ. №15
ს/კ: 215593043
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიში/სახაზინო კოდი: 708417195

“მიმწოდებელი”:
შპს "შოუ ტექნიკის ცენტრი"
ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი: /ზ. გაბელაია/
ს.კ. 205073212
ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. # 27ბ
მომსახურე ბანკი: სს „თიბისიბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE40TB1100000028467909